ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ

ეთიკის კომისიის შემადგენლობა:
ციცინო ცხვედიანი - კომისიის თავმჯდომარე
გია ტაბლიაშვილი - კომისიის წევრი
ქეთევან უტიაშვილი - კომისიის წევრი
ნინო მიქიაშვილი - კომისიის წევრი
პავლე აბაიაძე - კომისიის წევრი
თეა ჭეიშვილი - კომისიის წევრი
ნელი ვარდიაშვილი - კომისიის წევრი
გიორგი ტურაზაშვილი - კომისიის წევრი
ნათია კორკოტაძე - კომისიის წევრი
ინგა სეხნიაშვილი - კომისიის წევრი
თორნიკე ბაქრაძე – კომისიის წევრი
ია გაბედავა - კომისიის წევრი
სულხან ონიანი - კომისიის წევრი

საჩივრის ავტორები – თ. ს., ზ. მ.
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 25.08.2016
საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 072/16
ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ადვოკატი მ. მ. /სიითი #/
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. მ.-სთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორთა პოზიცია:**

1.1 2016 წლის 29 აგვისტოს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს თ. ს.-მ და ზ. მ.-მ და მოითხოვეს ადვოკატ მ. მ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორების განცხადებით, სამოქალაქო საქმეზე საადვოკატო მომსახურების მისაღებად 2016 წლის 10 აპრილს ადვოკატ მმ. მ.-სთან გააფორმეს წერილობითი ხელშეკრულებები. ხელშეკრულებების პირობების თანახმად, ადვოკატ მ. მ.-ს თ. ს.-სა და ზ. მ.-სთვის საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია ყველა სახელმწიფო უწყებასა და ორგანიზაციაში, კერძო და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართლებრივი დავების საქმეებზე.

1.3 საჩივრის ავტორების განცხადებით, ადვოკატის აყვანამდე მათ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული დახმარების სამსახურმა მოუმზადა სარჩელები შრომით დავებზე, რომელიც შემდგომ უკვე ადვოკატ მ. მ.-ს ჩაასწორებინეს და შეიტანეს თბილისის საქალაქო სასამართლოში. თ. ს.-ს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე ეთქვა უარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 25 აპრილის განჩინებით საქმეზე N2/9XXX-16, ზ. მ.-სც სარჩელის წარმოებაში მიღებაზე ეთქვა უარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 25 აპრილის განჩინებით საქმეზე N2/10XXX-16. საჩივრის ავტორებმა მიმართეს ადვოკატ მ. მ.-ს, რათა გაესაჩივრებინათ აღნიშნული განჩინებები სააპელაციო წესით. ადვოკატი მ. მ. თ. ს.-სა და ზ. მ.-ს შეპირდა, რომ გასაჩივრებდა განჩინებებს და გასაჩივრების ფაქტიც დაუდასტურა რამდენიმე დღეში. ადვოკატს თ. ს.-მ ჩაურიცხა ორივე, ზ. მ.-სა და თ. ს.-ს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებების გასაჩივრებისათვის გადასახდელი სახელმწიფო ბაჟი, ჯამში 100 (ასი) ლარი.

1.4 საჩივრის ავტორების განცხადებით, ადვოკატი მათ ეუბნებოდა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ საჩივრები დააკმაყოფილა და საქმე უნდა გადმოეგზავნათ თბილისის საქალაქო სასამართლოში. ადვოკატი მ. მ. 3 თვის განმავლობაში კლიენტებს აწვდიდა ინფორმაციას, რომ განჩინებები გასაჩივრებული იყო და მიმდინარე პროცესებს სჭირდებოდა დრო. ყველანაირი მოლოდინის ვადის გასვლის შემდგომ მომჩივნები დაუკავშირდნენ თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების კანცელარიას და გაარკვიეს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებები გასაჩივრებული არ ყოფილა. ისინი კვლავ დაუკავშირდნენ ადვოკატ მ. მ.-ს, რომელმაც განაცხადა რომ გარკვეული პროცედურების გამო გასაჩივრებული აქტი შესაძლოა საქმის წარმოების ელექტრონულ პროგრამაში არ გამოჩენილიყო, სინამდვილეში კი ის გასაჩივრებული იყო. საჩივრის ავტორები აღნიშნავენ, რომ ერთი თვის გასვლის შემდგომ ისევ დაუკავშირდნენ სასამართლოს, სადაც კვლავ დაუდასტურეს, რომ აქტი გასაჩივრებული არ იყო. ამის შემდგომ საჩივრის ავტორებმა სცადეს ადვოკატ მმ. მ.-სთან დაკავშირება სხვადასხვა საშუალებებით, თუმცა უშედეგოდ. ადვოკატმა კლიენტებთან კომუნიკაცია შეწყვიტა და არც თავად მათ აძლევს დაკავშირების საშუალებას.

1.5 მომჩივნების განმარტებით, ადვოკატს უნდა გაეწია სხვა მომსახურებაც მას შემდეგ, რაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი ან პროკურატურა მიიღებდა გადაწყვეტილებას მომჩივნების საქმეზე, თუ საქმე გადავიდოდა სისხლის სამართალში, უნდა ედავათ დამსაქმებლებთან სისხლის სამართლის კუთხითაც. ადვოკატმა პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორთან ერთ შეხვედრაზე წარმოადგინა კლიენტების ინტერესები მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებაში.

1.6 საჩივრის ავტორების განცხადებით, ადვოკატის უპასუხისმგებლო საქციელის გამო ისინი დაზარალდნენ, ვერ შეძლეს საკუთარი უფლებების დაცვა და სამსახურში აღდგენა. სხვა მხრივ კი, საჩივრის ავტორები კვლავ არ არიან ინფორმირებულნი საქმის მსვლელობის შესახებ.

1.7 2016 წლის 22 სექტემბერს საპროცესო კოლეგია გაესაუბრა საჩივრის ავტორებს. მათ დამატებით განმარტეს, რომ ადვოკატ მ. მ.-ს, როგორც შრომით დავებში გამოცდილ ადვოკატს, მიმართეს იურისტ ლელა ქველაძის რეკომენდაციით. საჩივრის ავტორების განმარტებით შრომითი დავა საქმისწარმოების ვადებიდან გამომდინარე მალე დაიწყეს. დავა ეხებოდა მომჩივნების თანამდებობიდან გათავისუფლებისა და განაცდური ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნას. ადვოკატს საქმე უნდა ეწარმოებინა, როგორც სასამართლოში, ასევე სხვა დაწესებულებებში და მათ შორის თუ საქმეში აღმოჩნდებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, მაშინ ამ მიმართულებითაც უნდა გაეწია მომსახურება.

1.8 თ. ს.-ს განმარტებით, შეიძლება ადვოკატს ბევრი საქმე ჰქონდა და გასაჩივრების ვადა შეგნებულად არ გაუშვა, მაგრამ ადვოკატმა მათ არ მიაწოდა სწორი ინფორმაცია და შემდეგ მათთან კომუნიკაცია შეწყვიტა. ადვოკატს შეეძლო აეხსნა კლიენტებისთვის, რომ გასაჩივრების ვადა გამორჩა ან მიღებული საადვოკატო მომსახურების საზღაური დაებრუნებინა. ადვოკატმა მ. მ.-მ ფაქტობრივად კლიენტების მომსახურებაზე თქვა უარი.

1.9 საჩივრის ავტორები აღნიშნავენ, რომ ადვოკატი მ. მ. მათ სამოქალაქო საქმეებს ერთ საქმედ განიხილავდა, ამასთან ვინაიდან სისხლის სამართლის საქმის წარმოება დამოკიდებული იყო სამოქალაქო საქმის მიმდინარეობაზე და შესაძლოა საერთოდ არ გამხდარიყო ამ კუთხით იურიდიული მომსახურება საჭირო, ადვოკატი მომჩივანს და მის მეუღლეს ზეპირსიტყვიერად შეუთანხმდა, რომ იმ ეტაპზე თ. ს.-ს გადაეხადა 1500 (ათას ხუთასი) ლარი, იგი აწარმოებდა ორივე სამოქალაქო საქმეს, ხოლო თანხის დარჩენილ ნაწილს 2500 (ორი ათას ხუთას) ლარს თუ სისხლის სამართლის საქმის წარმოება იქნებოდა აუცილებელი, გადაიხდიდა ზ. მ.. ადვოკატს თ. ს.-მ ასევე ჩაურიცხა სააპელაციო საჩივრის სახელმწიფო ბაჟის თანხა - 100 (ასი) ლარი მისი და მისი მეუღლის ზ. მ.-ს საჩივრებისთვის.

1.10 მომჩივნები ცდილობდნენ დაკავშირებოდნენ ადვოკატს სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის ტელეფონით, ფოსტით, სოციალური ქსელის დახმარებით, თუმცა უშედეგოდ. ადვოკატი კლიენტების სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა. ადვოკატს კლიენტების საფოსტო გზავნილი ჩაბარდა, თუმცა მისი მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია. ასევე არ პასუხობდა მათ სოციალურ ქსელში, თუმცა ნახულობდა წერილებს. საჩივრის ავტორების განცხადებით, ისინი მივიდნენ ადვოკატ მმ. მ.-სთან სახლშიც, თუმცა ადვოკატის ოჯახის წევრებმა ჯერ განაცხადეს, რომ ადვოკატი სახლში იყო და შემდგომ თქვეს, რომ იგი უკვე გასული იყო სახლიდან და ვერ შეხვდებოდნენ.

1.11 საჩივრის ავტორების მოთხოვნაა ადვოკატ მ. მ.-ს შეეფარდოს დისციპლინური სახდელი ვინაიდან ადვოკატს მათთვის არ გაუწევია საადვოკატო მომსახურება. თ. ს. და ზ. მ. ითხოვენ ადვოკატმა დაუბრუნოს მათ საადვოკატო მომსახურებისათვის აღებული საზღაური.

1.12 2017 წლის 18 აპრილს თ. ს.-მ და ზ. მ.-მ მონაწილეობა მიიღეს განხილვის კოლეგიის სხდომაში და მხარი დაუჭირეს საჩივარს.

1.13 2017 წლის 15 ივნისს თ. ს.-მ და ზ. მ.-მ ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობის სხდომაზე განმარტეს, რომ ადვოკატს ორივე საქმის წარმოება ერთი და იგივე დროს უნდა დაეწყო, თუმცა პირველ ეტაპზე კლიენტები საადვოკატო მომსახურებისთვის შეთანხმებული 4000 (ოთხი ათასი) ლარიდან მხოლოდ 1500 (ათას ხუთას) ლარს გადაიხდიდნენ და ამ თანხის სანაცვლოდ დაიწყებდა ადვოკატი შრომითი დავების წარმოებას. საადვოკატო მომსახურების ორ ხელშეკრულებაში თანხები შემდეგნაირად გადანაწილდა: თ. ს.-ს უნდა გადაეხადა 1500 (ათას ხუთასი) ლარი, ხოლო ზ. მ.-ს 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარი. თანხის მსგავსი ფორმით გადახდა თავად ადვოკატმა ურჩია კლიენტებს, რადგან ზ. მ.-ს შემთხვევაში შესაძლებელი იყო სისხლის სამართლის საქმის წარმოებაც გამხდარიყო საჭირო და უფრო მეტი იქნებოდა საადვოკატო მომსახურების საზღაური მის შემთხვევაში. ზ. მ.-ს განმარტებით, ადვოკატმა მ. მ.-მ მის პირად საოჯახო დავაზე მხოლოდ სიტყვიერი კონსულტაცია გაუწია, ადვოკატს არ შეთანხმებია მოცემულ დავაში მისი ინტერესების წარმომადგენლობაზე და შესაგებელიც არ შეუდგენია ადვოკატ მ. მ.-ს.

1.14 თ. ს.-ს განმარტებით, მათ არ იცოდნენ, რომ ადვოკატი იყო სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე, შესაბამისად მას თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების უფლება, განჩინებების გასაჩივრების უფლება არ ჰქონდა. თ. ს.-მ ეს ინფორმაცია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაიგო საჩივრების შემოტანის დროს.

1.15 ზ. მ. არ ეთანხმება ადვოკატის ეთიკის კომისიის სხდომაზე წარმოდგენილ განმარტებას, თითქოს ზ. მ.-მ არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ ადვოკატს არ გადაუხადა 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარი. მომჩივანის განმარტებით, ადვოკატთან ურთიერთობის იმ ეტაპზე მას არ უნდა გადაეხადა აღნიშნული თანხა. ამას არც შეთანხმება ითვალისწინებდა და არც ადვოკატს მოუთხოვია მოცემული თანხის გადახდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ადვოკატს კონკრეტულად უნდა ეთქვა მისთვის, რომ მის წარმომადგენლობას ვერ განახორციელებდა და შეეწვიტა ხელშეკრულება. ადვოკატმა 4000 (ოთხი ათასი) ლარიდან მიიღო 1500 (ათას ხუთასი) ლარი საადვოკატო მომსახურების სანაცვლოდ, 100 (ასი) ლარი სახელმწიფო ბაჟის სახით, ხოლო კლიენტების საქმეთა წარმოება შუა გზაში შეწყვიტა კლიენტების ინფორმირების გარეშე. ამის შემდეგ თ. ს. და ზ. მ. ცდილობდნენ ადვოკატთან მორიგებას დავების თავიდან აცილების მიზნით, თუმცა ადვოკატმა მათთან კომუნიკაციაზე უარი თქვა.

1.16 თ. ს.-ს განმარტებით, მათი ძირითადი ინტერესი შრომითი დავები იყო განაცდურის ანაზღაურებისა და სამსახურში აღდგენის მოთხოვნით, სამსახურებრივი უფლებამოსილების

გადამეტებაზე არ დაობდნენ. შესაბამისად ჰქონდათ სარჩელების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის განჩინებების სააპელაციო წესით გასაჩივრებისა და სარჩელების სასამართლოს მიერ წარმოებაში მიღების ინტერესი. ამისათვის გადაუხადა თ. ს.-მ ადვოკატს მისი და მისი მეუღლის საჩივრებზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის სახით 100 (ასი) ლარი. მას შემდეგ, რაც ადვოკატს ჩაბარდა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ, ის დაუკავშირდა თ. ს.-ს და საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების დარღვევაში დაადანაშაულა.

1.17 თ. ს.-ს განმარტებით, ამჟამად ახალი ადვოკატი აიყვანა და მის საქმეზე სარჩელი წარმოებაში მიიღეს. ზ. მ.-ს შემთხვევაში დავის დაწყებას აზრი აღარ ჰქონდა, ვინაიდან მოპასუხე კომპანია დაიხურა.

1.18 თ. ს.-ს განმარტებით, ადვოკატის განმარტებები რეალობას არ შეესაბამება, კერძოდ იგი აღნიშნავს, რომ ივლისში გაუარესდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, თუმცა განჩინებები აპრილშია მიღებული, ხოლო კლიენტებმა 05 ივნისს გაუუქმეს ადვოკატს რწმუნებულებები, შესაბამისად ადვოკატ მ. მ.-ს იმ პერიოდში კლიენტებთან კომუნიკაციის პრობლემები არ უნდა ჰქონოდა. გარდა ამისა, ადვოკატს იმ ეტაპზე კლიენტებისაგან არც 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარის გადახდა მოუთხოვია, რომლის გადაუხდელობასაც დღეს უკვე ზ. მ.-სთან ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლად იხსენიებს.

2. მოწმე ლელა ქველაძის პოზიცია:

2.1 2016 წლის 01 ნოემბერს ეთიკის კომისიას განცხადებით მომართა მოწმე ლელა ქველაძემ. მოწმე აღნიშნავს, რომ ის მუშაობს სს ,,სადაზღვევო კომპანია უნისონში'' და თ. ს.-ს სწორედ აქედან იცნობდა. თ. ს. მოწმეს თებერვალში დაუკავშირდა და სთხოვა რეკომენდაცია გაეწია რომელიმე კარგი ადვოკატისთვის მისი და მისი მეუღლის შრომით დავასთან დაკავშირებით.

2.2 მოწმის განცხადებით, მან რეკომედაცია გაუწია ადვოკატ მ. მ.-ს, რომელსაც იცნობდა რუსთავის საქალაქო სასამართლოდან, როგორც კვალიფიციურ ადვოკატს.

2.3 ლელა ქველაძის განმარტებით, საჩივრის ავტორებისა და მ. მ.-ს ურთიერთობის მანძილზე, ადვოკატი მ. მ. ხშირად იყო მოუცლელი, ვერ პასუხობდა მობილურზე და თ. ს. ხშირად მასვე ურეკავდა კონსულტაციებისთვის.

2.4 მოწმის განცხადებით, ერთი-ერთი ზემოხსენებული დარეკვისას თ. ს.-მ ლელა ქველაძეს ჰკითხა, თუ რა იყო მაქსიმალური ვადა თბილისის სააპელაციო სასამართლოდან თბილისის საქალაქო სასამართლოში მისულიყო მისი გასაჩივრებული და დაკმაყოფილებული საჩივარი. მოწმის განმარტებით მან გამოართვა სისტემაში შესასვლელი მომხმარებლის მონაცემები და ნახა, რომ გასაჩივრებული არაფერი იყო. ასევე, ურჩია დაერეკა თბილისის სააპელაციო სასამართლოში და გაერკვია იყო, თუ არა წარმოებაში მისი და ზ. მ.-ს სარჩელი.

2.5 მოწმის განმარტებით, მან ასევე უთხრა თ. ს.-ს, რომ დაერეკა ადვოკატისთვის და ეკითხა მისი საქმის შესახებ, თუმცა ადვოკატი მ. მ. არც თ. ს.-ს და არც ზ. მ.-ს არ დაუკავშირდა. მოწმე აცხადებს, რომ მან თავად არაერთხელ სცადა მმ. მ.-სთან დაკავშირება სხვადასხვა გზებით, თუმცა

უშედეგოდ. მოწმე ადასტურებს, რომ მ. მ.-მ სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფა საჩივრის ავტორები მათ საქმეებთან დაკავშირებით.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 ეთიკის კომისიის აპარატი საქმის საპროცესო წესით განხილვისას ადვოკატ მ. მ.-ს არაერთი მცდელობის მიუხედავად ვერ დაუკავშირდა ადვოკატთა ერთიან სიაში და საქმის მასალებში მითითებულ ტელეფონის ნომერზე: XXX XX XX XX. ადვოკატის ნომერზე ზარი ხორციელდებოდა, თუმცა ადვოკატი არ პასუხობდა სატელეფონო ზარებს. ადვოკატ მ. მ.-ს 2016 წლის 01 სექტემბერს ადვოკატთა ეთიკის კომისიის მიერ გაეგზავნა თ. ს.-სა და ზ. მ.-ს 2016 წლის 25 აგვისტოს საჩივრები მისამართზე: ქ. რ., ლ.-ს ქ.NX, ბ. NXX. ადვოკატს საჩივარი არ ჩაბარდა მოუკითხაობის გამო. ადვოკატის ალტერნატიული მისამართი და ტელეფონის ნომერი სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ერთიან სიაში მითითებული არ არის. შესაბამისად, ეთიკის კომისიისთვის უცნობია ადვოკატ მ. მ.-ს პოზიცია.

3.2 ადვოკატს დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილება დასკანერებული სახით ელექტრონული ფოსტით სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ერთიან სიაში არსებულ მისამართზე: @ გაეგზავნა 2017 წლის 26 იანვარს, იმავე დღეს გაეგზავნა ფოსტის მეშვეობით მისამართებზე: რ., ლ.-ს ქ. NX, ბ. NX; რ., მ.-ს ქ. X. გადაწყვეტილებები ადვოკატის შვილს 2017 წლის 28 იანვარს ჩაბარდა მისამართზე: რ., ლ.-ის ქ. NX, ბ. NX (საფოსტო გზავნილის ჩაბარების დასტური CERXXX). ადვოკატს ელ. ფოსტით 23 მარტს ეცნობა განხილვის სხდომის 03 აპრილს 16:00 სთ-ზე ჩანიშვნის შესახებ. ადვოკატს 24 მარტს ფოსტის მეშვეობით გაეგზავნა შეტყობინება სხდომის ჩანიშვნების შესახებ. შეტყობინება ჩაბარდა ადვოკატის დედას 2017 წლის 27 მარტს მისამართზე: რ., გ. ლ.-ს ქ.NX, ბ. NX (საფოსტო გზავნის ჩაბარების დასტური CERX). 03 აპრილს ეთიკის კომისიის აპარატი დაუკავშირდა ადვოკატ მ. მ.-ს ტელეფონის მეშვეობით, ადვოკატმა განმარტა, რომ ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემა, იმყოფებოდა საავადმყოფოში და დააყენა შუამდგომლობა სხდომის სხვა დროისთვის გადადების შესახებ. 03 აპრილს ადვოკატის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და სხდომა გადაიდო 18 აპრილს. ადვოკატს 06 აპრილს ფოსტის მეშვეობით გაეგზავნა შეტყობინება სხდომის ჩანიშვნების შესახებ. შეტყობინება ჩაბარდა ადვოკატის დედას 2017 წლის 10 აპრილს მისამართზე: რ., გ. ლ.-ს ქ.NX, ბ. NX (საფოსტო გზავნილის ჩაბარების დასტური CERX). ამ დროის განმავლობაში ადვოკატ მმ. მ.-სთან სატელეფონო კომუნიკაცია მხოლოდ ერთხელ გახდა შესაძლებელი, 03 აპრილს, როგორც წესი ადვოკატის ნომერზე ზარი შედიოდა, მაგრამ ადვოკატი არ პასუხობდა სატელეფონო ზარს.

3.3 2017 წლის 15 ივნისს ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობის სხდომაზე ადვოკატმა მ. მ.-მ განმარტა, რომ სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატია და 2011 წლამდე მუშაობდა მხოლოდ სისხლის სამართლის მიმართულებით. ადვოკატი მ. მ. 2011 წლიდან სამოქალაქო დავებზე პირველი ინსტანციის სასამართლოში ახორციელებს წარმომადგენლობას.

3.4 ადვოკატის განმარტებით, იმ პერიოდისათვის, როდესაც თ. ს.-სთან და ზ. მ.-სთან დაიწყო ურთიერთობა აწუხებდა ჯანმრთელობის პრობლემები. თ. ს.-სა და ზ. მ.-ს სამსახურების ხელმძღვანელმა პირებმა უკანონოდ მოიპოვეს მათი პერსონალური ინფორმაცია, რაც მათი

სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი გახდა. საქმის წარმოება შესაძლებელი იყო როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო წესით შრომითი დავების დაწყების გზით. მომსახურების სანაცვლოდ მხარეები შეთანხმდნენ 4000 (ოთხი ათას) ლარზე: 1500 (ათას ხუთასი) ლარი უნდა გადაეხადა თ. ს.-ს, ხოლო 2500 (ორიათას ხუთას) ლარი ზ. მ.-ს. ეს თანხა ეხებოდა პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორთან საქმის წარმოებას, სისხლის სამართლის საქმის წარმოებას, შრომით დავებს. მოგვიანებით ამას დაემატა ახალი სამოქალაქო საქმე, რაზეც მხარეები თავიდან არ შეთანხმებულან. ზ. მ.-ს სხვა სამოქალაქო დავაზე ადვოკატმა მოამზადა და სასამართლოში შეიტანა შესაგებელი.

3.5 ადვოკატის განმარტებით, ხელშეკრულებებში, რომელიც მას გაფორმებული ჰქონდა მხარესთან, ძირითადად სისხლის სამართლის საქმეზე აპელირებდნენ. კომპანიის ხელმძღვანელი პირების მიმართ გამოძიების დაწყების მოთხოვნით თბილისის მთავარ პროკურატურაში საჩივარიც შეიტანეს.

3.6 ადვოკატის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობის უფლება აქვს, გარდა ამისა, მასთან ერთად მუშაობენ სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის მქონე კოლეგები, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ საქმეში ჩართვა. ადვოკატის განმარტებით, თ. ს.-სა და ზ. მ.-სთან ყველა ინსტანციის სასამართლოში მომსახურებაზე არ გაუფორმებია ხელშეკრულება. თ. ს.-სა და ზ. მ.-ს ძირითადად ჰქონდათ სისხლის სამართლის საქმე და სამოქალაქო დავები თბილისის საქალაქო სასამართლოში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეების ძირითადი მოტივაცია იყო კომპანიის დირექტორების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დამდგარიყო. მათი ძირითადი მოთხოვნა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების გამოკვეთა იყო.

3.7 ადვოკატმა სპეციალიზაციის შესახებ კლიენტების ინფორმირებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ თ. ს. და ზ. მ. საერთო ახლობლის რჩევით მივიდნენ მასთან. გამომდინარე იქიდან, რომ საერთო ახლობელი კარგად იცნობდა მ. მ.-ს, ადვოკატმა ივარაუდა, რომ თ. ს.-სა და ზ. მ.-სთვის მის შესახებ ყველანაირი ინფორმაცია ცნობილი იყო. ადვოკატის სპეციალიზაციის შესახებ საუბარი დღის წესრიგში არ დამდგარა. ადვოკატის განმარტებით, მას პირადად არ უთქვამს კლიენტებისთვის თავისი სპეციალიზაციის შესახებ, ვინაიდან დარწმუნებული იყო, რომ იცოდნენ ეს ინფორმაცია შუამავალი პირისგან.

3.8 ადვოკატის განმარტებით, თ. ს.-სა და ზ. მ.-ს საქმეებთან დაკავშირებით შემდეგი იურიდიული მოქმედებები განახორციელა: პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორთან საქმის განხილვაში მიიღო მონაწილეობა, პროკურატურაში წარსადგენად მოამზადა და წარადგინა საჩივარი; ზ. მ.-ს სხვა სამოქალაქო საქმეზე მოამზადა შესაგებელი და მზად იყო ამ სამოქალაქო დავაში დამატებითი შეთანხმების გარეშე მიეღო მონაწილეობა; მოამზადა და ორჯერ მიმართა სასამართლოს სარჩელებით შრომით დავებზე.

3.9 ადვოკატის განმარტებით, შრომით დავებზე სარჩელები ორჯერ შეიტანა, პირველ შემთხვევაში სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო სარჩელები. ადვოკატის განმარტებით, კლიენტებთან შეთანხმებული იყო განჩინებების გასაჩივრებაზე, თუმცა განჩინებების ჩაბარებისა და გაცნობის შემდეგ ერთობლივად შეცვალეს პოზიცია. ადვოკატმა გამოიხმო სამოქალაქო საქმის მასალები,

გამოასწორა განჩინებებში მითითებული ხარვეზები და მაისის შუა რიცხვებში თავიდან შეიტანა იგივე სარჩელები. ამ სარჩელებზეც იგივე შედეგი დადგა. ადვოკატს მეორედ აღარ ჩაუბარებია განჩინებები სარჩელების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ. შესაბამისად არც გაუსაჩივრებია მოცემული განჩინებები. ადვოკატის განმარტებით, კლიენტებს შეუთანხმდა, რომ ახალ სარჩელებს შეიტანდა სასამართლოში და პარალელურად საჩივარი შეიტანა თბილისის მთავარ პროკურატურაში. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის შეტანის გზით სურდა სამომავლოდ სამოქალაქო დავებისთვის ახალი გარემოებების დადგენა.

3.10 ადვოკატის განმარტებით, არა ჰგონია, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებამდე გაუშვა კლიენტების გათავისუფლების ბრძანებების გასაჩივრების ვადა. ადვოკატმა ასევე განმარტა, რომ მას მხარეებისთვის არ უთქვამს, რომ განჩინებები გასაჩივრებული იყო, მან კლიენტებს აუხსნა, რომ თავიდან იყო სარჩელები შეტანილი. ადვოკატის განმარტებით, სარჩელების მიღებაზე სასამართლოს მიერ მეორედ უარის თქმის შემდეგ კონკრეტულად არ შეთანხმებულა კლიენტებთან სამომავლო მოქმედებებზე, სისხლის სამართლის საქმის დასრულების შემდეგ ჩამოაყალიბებდნენ პოზიციას.

3.11 ადვოკატის განმარტებით, შრომით დავაზე საქმის წარმოება უნდა დაწყებულიყო სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების კუთხით, ვინაიდან ხელმძღვანელმა პირებმა უკანონოდ მოიპოვეს თ. თ.-ს და ზ. მ.-ს პირადი ინფორმაცია და მათი უკანონოდ გამოყენების საფუძველზე გაათავისუფლეს ისინი სამსახურიდან. ადვოკატმა განცხადებით 2016 წლის 17 ივნისს მიმართა თბილისის მთავარ პროკურატურას. ადვოკატისათვის უცნობია რა შედეგი დადგა მოცემულ განცხადებაზე.

3.12 ადვოკატის განმარტებით, თ. ს.-მ მას ანგარიშზე ჩაურიცხა 100 (ასი) ლარი, თუმცა ადვოკატს არ მოუთხოვია კლიენტისათვის სახელმწიფო ბაჟის ჩარიცხვა. ადვოკატმა კლიენტს მხოლოდ კონსულტაცია გაუწია, რომ 50 (ორმოცდაათი) ლარი იქნებოდა სახელმწიფო ბაჟი. თ. ს.-მ საკუთარი ინიციატივით ჩარიცხა ეს თანხა. ადვოკატის განმარტებით, ეს თანხა კლიენტისათვის უკან არ გადაურიცხია, რადგან იმ პერიოდში მეორედ უნდა შეეტანა სარჩელები და გარკვეული პროცესები კიდევ გასავლელი იყო. ამ თანხის გარდა კლიენტებს მისთვის 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარი ჩასარიცხი ჰქონდათ. შესაბამისად, ადვოკატმა მიიჩნია, რომ კლიენტი დარჩენილ თანხას ნაწილ-ნაწილ უხდიდა. ადვოკატმა ჩარიცხული თანხა სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად განკუთვნილ თანხად არ ჩათვალა, ვინაიდან იმ დროისათვის განჩინებები ჩაბარებული არ ჰქონდა.

3.13 ადვოკატის განმარტებით, ჯანმრთელობის პრობლემები 2016 წლის ივლისის შუა ნახევარში შეექმნა, მას შემდეგ, რაც მეორედ უთხრა სასამართლომ სარჩელების წარმოებაში მიღებაზე უარი. ამის გამო ადვოკატმა მესამედ ვეღარ შეძლო ახალი სარჩელების შეტანა. ადვოკატის განმარტებით, ივლისის შუა რიცხვებიდან ორი კვირის განმავლობაში იმყოფებოდა საავადმყოფოში და ადასტურებს იმ ფაქტს, რომ იმ პერიოდში თ. ს. და ზ. მ. ვერ შეძლებდნენ მასთან დაკავშირებას. ადვოკატი არც თავად დაკავშირებია კლიენტებს, რადგან ცუდად ყოფნის პერიოდში კლიენტებთან კომუნიკაცია არ შეეძლო, ძლიერი ტკივილები ჰქონდა. გამოჯანმრთელების შემდეგ ადვოკატმა სცადა თ. ს.-სთან კომუნიკაცია, მაგრამ ვერ დაუკავშირდა მას.

3.14 ადვოკატის განმარტებით, თანხები: 1500 (ათას ხუთასი) და 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარი კლიენტებს წინასწარ უნდა ჩაერიცხათ, მაგრამ მათ მხოლოდ 1500 (ათას ხუთასი) ლარი გადაუხადეს ადვოკატს. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება ითვალისწინებდა თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში მომსახურების შეწყვეტის პირობას, ადვოკატს თ. ს.-სთან და ზ. მ.-სთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება არ შეუწყვეტია. ადვოკატს სანამ ჯანმრთელობის მდგომარეობა აძლევდა საშუალებას მომსახურებას უწევდა თ. ს.-სა და ზ. მ.-ს. ადვოკატი ასევე აცხადებს, რომ მან შეწყვიტა ზ. მ.-ს წარმომადგენლობა, რადგან კლიენტმა არ გადაუხადა შეთანხმებული საზღაური. ადვოკატის განმარტებით, მას ზ. მ.-სათვის ცალკე არ მიუწოდებია ინფორმაცია, რომ წყვეტდა მასთან ხელშეკრულებას, ვინაიდან მას თავიდანვე გადასცა ხელშეკრულება, სადაც ეწერა ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები. ამის გამო ადვოკატმა ურთიერთობა მხოლოდ თ. ს.-სთან გააგრძელა, მისი სახელით შეიტანა პროკურატურაში განცხადება.

3.15 ადვოკატის განმარტებით, სანამ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდებოდა, კლიენტის დასაცავად ყველაფერს აკეთებდა. ზ. მ.-სთან მიმართებაში ადვოკატს მიაჩნია, რომ მას არ ჰქონდა ადვოკატის მიმართ თავისი ვალდებულება შესრულებული, თ. თ.-ს მიმართ ადვოკატს მომსახურება გაწეული აქვს.

4. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

4.1 2016 წლის 25 ნოემბერს ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილებები ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე თ. ს.-სა და ზ. მ.-ს საჩივრების საფუძველზე.

4.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატ მ. მ.-ს საჩივრის ავტორებისთვის საადვოკატო მომსახურება სამოქალაქო საქმეებზე უნდა გაეწია მაშინ, როდესაც სპეციალიზირებული იყო სისხლის სამართლის კუთხით და კლიენტებისათვის ადვოკატის სპეციალიზაცია არ იყო ცნობილი, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი.

4.3 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ვინაიდან სამოქალაქო საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ ადვოკატმა მ. მ.-მ თბილისის სააპელაციო სასამართლოში არ წარმოადგინა თ. ს.-სა და ზ. მ.-ს ინტერესები, კერძოდ მან არ გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 25 აპრილის (საქმე N2/9XXX-16, საქმე N2/10XXX–16) განჩინებები, ხოლო კლიენტებს მიაწოდა არასწორი ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და მოგვიანებით შეწყვიტა კლიენტებთან კომუნიკაცია, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი და მე–5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე–6 ნაწილები.

4.4 იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატ მ. მ.-ს საადვოკატო მომსახურებისთვის მიღებული 1500 (ათას ხუთასი) ლარის სანაცვლო მომსახურება კლიენტებისათვის არ გაუწევია, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი.

5. განხილვის კოლეგიის პოზიცია:

ეთიკის კომისიის მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ დისციპლინური საქმეები N071/16 (მომჩივანი - თ. ს., ადვოკატი - მ. მ.) და N072/16 (მომჩივანი - ზ. მ., ადვოკატი - მ. მ.) გააერთიანა ერთ დისციპლინურ საქმედ ნომრით: 072/16, იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 36–ე მუხლით და 2017 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

II სამოტივაციო ნაწილი

6. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

6.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორების განმარტებებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

6.1.1 ადვოკატი მ. მ. წარმოადგენს სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატს, /სიითი N/.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ერთიანი სიის მონაცემები

6.1.2 ადვოკატი მ. მ. წარმოადგენდა თ. ს.-სა და ზ. მ.-ს ინტერესებს სამოქალაქო დავაზე 2016 წლის 10 აპრილის ხელშეკრულებების საფუძველზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *2016 წლის 10 აპრილის ხელშეკრულებები*
2. *2016 წლის 13 აპრილის რწმუნებულება NX8*
3. *2016 წლის 13 აპრილის რწმუნებულება NX4*
4. *თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 25 აპრილის განჩინება საქმეზე N2/9XXX-16,*
5. *თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 25 აპრილის განჩინება საქმეზე N2/10XXX-16.*

6.1.3 თ. ს.-ს, ზ. მ.-ს და ადვოკატ მ. მ.-ს შორის დადებული იურიდიული მომსახურეობის შესახებ ხელშეკრულებებში მითითებულია, რომ ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს მ. მ.

,,შემდგომში ადვოკატად წოდებული,'' ხელშეკრულების საგანი: ადვოკატი იღებს ვალდებულებას იურიდიული მომსახურება გაუწიოს კლიენტს და დაიცვას მისი ინტერესები ყველა კანონიერი საშუალებით სასამართლოში, ასევე ყველა სახელმწიფო უწყებასა და ორგანიზაციაში, კერძო და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართლებრივი დავების საქმეებზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
2016 წლის 10 აპრილის ხელშეკრულებები

6.1.4 ადვოკატმა მ. მ.-მ კლიენტებს არ მიაწოდა ინფორმაცია, რომ იგი სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატი იყო.

ეთიკის კომისია ეყრნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საჩივრის ავტორების ახსნა-განმარტება (ეთიკის კომისიის 2017 წლის 15 ივნისის სხდომის ოქმი)
2. ადვოკატის ახსნა-განმარტება (ეთიკის კომისიის 2017 წლის 15 ივნისის სხდომის ოქმი)

6.1.5 თ. ს.-ს და ზ. მ.-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 25 აპრილის (საქმე N2/9XXX-16) და (საქმე*N2/10XXX–16)* განჩინებებით უარი ეთქვათ სარჩელების წარმოებაში მიღებაზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 25 აპრილის განჩინება საქმეზე* N2/9XXX-16)
2. *თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 25 აპრილის განჩინება საქმეზე N2/10XXX–16*

6.1.6 განჩინებები სამოქალაქო საქმეებზე N2/9XXX–16 და N2/10XXX–16 თბილისის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებული არ ყოფილა. ადვოკატი მ. მ. სამოქალაქო საქმეებზე კერძო საჩივრებს ვერ შეიტანდა, ვინაიდან არ ჰქონდა შესაბამისი სპეციალიზაცია. ამის შემდეგ ადვოკატმა მეორედ მიმართა სასამართლოს ახალი სარჩელებით. სასამართლოს მიერ სარჩელების წარმოებაში მიღებაზე მეორედ უარის თქმის შემდეგ ადვოკატმა აღარ შეიტანა ახალი სარჩელები შრომით დავებზე. ადვოკატს სხვა იურიდიული მოქმედება შრომით დავებზე აღარ განუხორციელებია.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *საჩივრის ავტორების ახსნა–განმარტება*
2. *თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის N2/X16 წერილი*
3. *თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის N2/X15 წერილი*

6.1.7 ადვოკატმა პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორთან ერთ შეხვედრაზე წარმოადგინა კლიენტების ინტერესები მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებაში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

საჩივრის ავტორების ახსნა–განმარტება

6.1.8 *ადვოკატმა მ. მ.-მ თ. ს.-ს*ა და ზ. მ.-ს ინტერესების დასაცავად საჩივრით მიმართა თბილისის მთავარ პროკურატურას.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
1. საჩივრის ავტორების ახსნა-განმარტება (ეთიკის კომისიის 2017 წლის 15 ივნისის სხდომის ოქმი)
2. ადვოკატის ახსნა-განმარტება (ეთიკის კომისიის 2017 წლის 15 ივნისის სხდომის ოქმი)

6.1.9 თ. ს.-მ ადვოკატ მ. მ.-ს მის საბანკო ანგარიშზე საადვოკატო მომსახურების საზღაურის სახით 2016 წლის 26 აპრილს ჩაურიცხეს 1500 (ათას ხუთასი) ლარი.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
სს ,, თიბისის ბანკი"-ს ქვითარი, საგადახდო დავალება N1461XXXXX

6.1.10 ადვოკატმა მ. მ.-მ თ. ს.-სა და ზ. მ.-ს მათი საქმეების მიმდინარეობის შესახებ არ მიაწოდა ბოლო ინფორმაცია, საადვოკატო მომსახურება მათი ინფორმირების გარეშე შეწყვიტა, კლიენტები არაერთი მცდელობის მიუხედავად (ურეკავდნენ ადვოკატს, წერდენ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, სოციალურ ქსელში, მიაკითხეს სახლში) ვერ დაუკავშირდნენ ადვოკატს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *საჩივრის ავტორების ახსნა–განმარტება*
2. *ადვოკატის ახსნა-განმარტება (ეთიკის კომისიის 2017 წლის 15 ივნისის სხდომის ოქმი)*
3. *ადვოკატ მ. მ.-სა და საჩივრის ავტორებს შორის არსებული 2016 წლის 30 ივნისისა და 05 ივლისის ელექტრონული წერილის ასლი, სოციალური ქსელის 2015 წლის 25 მაისის, 29 ივნისის, 30 ივნისის, 05 ივლისის მიმოწერის ასლი.*

6.1.11 2016 წლის 05 ივლისს ზ. მ.-მ და თ. ს.-მ გააუქმეს ადვოკატ მ. მ.-ს სახელზე გაცემული რწუმუნებულებები.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2016 წლის 05 ივლისის რწმუნებულების გაუქმების აქტიNX31

6.2 **ეთიკის კომისიის მიერ დადგენილი სადაო ფაქტობრივი გარემოება:**

თ. ს.-მ ადვოკატ მ. მ.-ს გადახდილი ჰონორარის გარდა ჩაურიცხა 100 (ასი) ლარი მისი და ზ. მ.-ს კერძო საჩივრებზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის სახით. მოცემული თანხა ადვოკატს კერძო საჩივრებისათვის არ გამოუყენებია და არამიზნობრივად განკარგა.

6.2.1 თ. ს.-ს განმარტებით, მას შემდეგ, რაც საქალაქო სასამართლომ მისი და ზ. მ.-ს შრომით დავებზე სარჩელები წარმოებაში არ მიიღო, ადვოკატ მ. მ.-ს ადვოკატისგან მიღებული კონსულტაციის შესაბამისად ჩაურიცხა ორივე სარჩელის გასაჩივრებისთვის სახელმწიფო ბაჟის თანხა - 100 (ასი) ლარი.

6.2.2 ადვოკატის განმარტებით, თ. ს.-მ მას ანგარიშზე ჩაურიცხა 100 (ასი) ლარი, თუმცა ადვოკატს არ მოუთხოვია კლიენტისათვის სახელმწიფო ბაჟის ჩარიცხვა. ადვოკატმა კლიენტს მხოლოდ კონსულტაცია გაუწია, რომ 50 (ორმოცდაათი) ლარი იქნებოდა სახელმწიფო ბაჟი. თ. ს.-მ საკუთარი ინიციატივით ჩარიცხა ეს თანხა. ადვოკატის განმარტებით, ეს თანხა კლიენტისათვის უკან არ გადაურიცხია, რადგან იმ პერიოდში მეორედ უნდა შეეტანა სარჩელები და გარკვეული პროცესები კიდევ გასავლელი იყო. ამ თანხის გარდა კლიენტებს მისთვის 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარი დამატებით ჩასარიცხი ჰქონდათ. შესაბამისად, ადვოკატმა მიიჩნია, რომ კლიენტი დარჩენილ თანხას ნაწილ-ნაწილ უხდიდა. ადვოკატმა ჩარიცხული თანხა სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად განკუთვნილ თანხად არ ჩათვალა, ვინაიდან იმ დროისათვის განჩინებები ჩაბარებული არ ჰქონდა.

6.2.3 ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატ მ. მ.-ს განმარტებები მიღებული 100 (ასი) ლარის დანიშნულების შესახებ არათანმიმდევრულია: ერთის მხრივ, ადვოკატი ადასტურებს იმ გარემოებას, რომ პირველ ეტაპზე კლიენტებთან შეთანხმებული ჰქონდა განჩინებების გასაჩივრების პოზიცია, თავად აცნობა კლიენტებს კერძო საჩივრებზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა, ნახა მის ანგარიშზე ჩარიცხული 100 (ასი) ლარი, ხოლო მეორეს მხრივ აღნიშნავს, რომ მოცემული თანხა აღიქვა არა სახელმწიფო ბაჟის თანხად, არამედ ზ. მ.-ს მიერ შესასრულებელი, მისთვის ჩასარიცხი 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარის ნაწილად, მიიჩნია რა, კლიენტი ნაწილ-ნაწილ ასრულებდა ვალდებულებას. ეთიკის კომისია ადვოკატ მ. მ.-ს მსგავს განმარტებას მიღებულ 100 (ას) ლართან დაკავშირებით ვერ გაიზიარებს და მიიჩნევს, რომ საბანკო გადარიცხვის ქვითარში პირდაპირ იყო მითითებული რა თანხის დანიშნულება, ადვოკატისათვის ცნობილი იყო ის გარემოება, რომ ეს თანხა წარმოადგენდა კერძო საჩივრებაზე გადასახდელ სახელმწიფო ბაჟს და არა ადვოკატის მიერ მისაღები ჰონორარის ნაწილს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. სს ბანკი „რესპუბლიკა“- ს ქვითარი

2. თ. ს.-ს ახსნა-განმარტება (ეთიკის კომისიის 2017 წლის 15 ივნისის სხდომის ოქმი)

2. ადვოკატის ახსნა-განმარტება (ეთიკის კომისიის 2017 წლის 15 ივნისის სხდომის ოქმი)

6.3 ეთიკის კომისიის მიერ ვერ დადგინდა შემდეგი ფაქტობრივი გარემოება:

ადვოკატმა მ. მ.-მ კლიენტებს მიაწოდა არასწორი ინფორმაცია, კერძოდ განუმარტა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ საჩივრები დააკმაყოფილა და საქმე უნდა გადმოეგზავნათ თბილისის საქალაქო სასამართლოში.

საჩივრის ავტორების განცხადებით, ადვოკატი მათ ეუბნებოდა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ საჩივრები დააკმაყოფილა და საქმე უნდა გადმოეგზავნათ თბილისის საქალაქო სასამართლოში. ადვოკატი მ. მ. 3 თვის განმავლობაში კლიენტებს აწვდიდა ინფორმაციას, რომ განჩინებები გასაჩივრებული იყო და მიმდინარე პროცესებს სჭირდებოდა დრო. ყველანაირი მოლოდინის ვადის გასვლის შემდგომ მომჩივნები დაუკავშირდნენ თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების კანცელარიას და გაარკვიეს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებები გასაჩივრებული არ ყოფილა. ისინი კვლავ დაუკავშირდნენ ადვოკატ მ. მ.-ს, რომელმაც განაცხადა რომ გარკვეული პროცედურების გამო გასაჩივრებული აქტი შესაძლოა საქმის წარმოების ელექტრონულ პროგრამაში არ გამოჩენილიყო, სინამდვილეში კი ის გასაჩივრებული იყო. საჩივრის ავტორები აღნიშნავენ, რომ ერთი თვის გასვლის შემდგომ ისევ დაუკავშირდნენ სასამართლოს, სადაც კვლავ დაუდასტურეს, რომ აქტი გასაჩივრებული არ იყო. ამის შემდგომ საჩივრის ავტორებმა სცადეს ადვოკატ მმ. მ.-სთან დაკავშირება სხვადასხვა საშუალებებით, თუმცა უშედეგოდ. ადვოკატმა კლიენტებთან კომუნიკაცია შეწყვიტა და არც თავად მათ აძლევდა დაკავშირების საშუალებას.

ადვოკატის განმარტებით, განჩინებების თბილისის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შესახებ ინფორმაცია კლიენტებისათვის არ მიუწოდებია. ისინი შეთანხმებულნი იყვნენ განჩინებების გასაჩივრებაზე, მაგრამ მას შემდეგ, რაც ადვოკატმა ჩაიბარა და გაეცნო განჩინებების შინაარსს, კლიენტებთან შეთანხმებით, ახალი სარჩელებით მიმართა სასამართლოს.

ეთიკის კომისიის განმარტებით, სადაო ფაქტობრივი გარემოების დასადგენად წარმოდგენილია მხოლოდ მხარეთა ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტება. მომჩივანმა მხარემ მოწმის სახით წარმოადგინა მოწმე ლელა ქველაძის განმარტება, თუმცა მოწმისათვის განჩინებების გასაჩივრების შესახებ ინფორმაცია უშუალოდ ადვოკატს არ მიუწოდებია, მას განჩინებების გასაჩივრების შესახებ ინფორმაციის გადამოწმების მიზნით თ. ს.-მ მიმართა, შესაბამისად მოცემული მოწმის განმარტებაზე დაყრდნობით, კომისია ამ სადაო ფაქტობრივ გარემოებას ვერ დაადგენს.

7. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ მ. მ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

8. სამართლებრივი შეფასება

8.1 თ. ს.-სა და ზ. მ.-ს სამოქალაქო საქმეებზე საადვოკატო მომსახურების გაწევის შესახებ მ. მ., როგორც ადვოკატი ისე შეუთანხმდა; არ მიაწოდა კლიენტებს ინფორმაცია, რომ სისხლის სამართლის მიმართულებით იყო სპეციალიზირებული და მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობის უფლებამოსილება ჰქონდა; შესაბამისად, კომისიის შეფასებით ადვოკატ მ. მ.-ს მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმა:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა".

8.1.1 ეთიკის კომისიამ 2013 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე N055/12 განმარტა, რომ ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, ,,ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში. საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ადვოკატად მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ადვოკატს." ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატმა საადვოკატო მომსახურება უნდა განახორციელოს მხოლოდ იმ მიმართულებით, რომელშიც ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, გააჩნია შესაბამისი გამოცდილება და არის სპეციალიზირებული. მოთხოვნებს ადვოკატისთვის ადგენს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლი, რომლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ადგენს კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების ვალდებულებას, ხოლო „გ" ქვეპუნქტის თანახმადაც, საადვოკატო საქმიანობის დაწყებამდე ადვოკატს უნდა გააჩნდეს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის ერთწლიანი გამოცდილება, რაც აღირიცხება ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ. „ადვოკატთა შესახებ" კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტების იმპერატიული მოთხოვნები, მიზნად ისახავს, რომ ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში არ დაიშვას არაკვალიფიციურ პირთა გაწევრიანება, მათთვის ადვოკატის სტატუსის მინიჭება და ამით პოტენციურ კლიენტთა ინტერესების დაზიანება. ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ „ადვოკატთა შესახებ" კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" და„გ" ქვეპუნქტები, წარმოადგენს ერთ-ერთ მაკონტროლებელ ინსტრუმენტს ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისთვის, რათა უზრუნველყოს მისი წევრების მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურების კვალიფიკაციის სტანდარტთან შესაბამისობა, რაც იქნება გარანტი იმისა, რომ პოტენციური კლიენტის ინტერესები დაცული იქნება კვალიფიციურად სამივე ინსტანციის სასამართლოში. ადვოკატს ფიცის დადების (განცხადების დაწერის) შემდეგ ეკისრება ვალდებულება, მოიქცეს წინდახედულად, გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს მისი პროფესიისთვის დამახასიათებელი რისკი, გაითვალისწინოს კლიენტის ინტერესები და ობიექტურად შეაფასოს თავისი უფლებამოსილებისა და კვალიფიკაციის თანხვედრა კლიენტის ინტერესებთან და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება საადვოკატო საქმიანობის გაწევასთან დაკავშირებით. ეთიკის კომისიის განმარტებით, ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულების სისტემის არსებით ნაწილს, მოეთხოვება, საზოგადოების წარმომადგენლებთან ურთიერთობისას გამოიჩინოს გულისხმიერება საკუთარი საქმისადმი, რათა არა მხოლოდ კლიენტის კონკრეტული ინტერესის დაზიანება აიცილოს თავიდან, არამედ - საზოგადოების ნდობის დაკარგვაც ადვოკატთა კორპუსის მიმართ."

8.1.2 ეთიკის კომისიამ, 2011 წლის 26 აგვისტოს N030/11 გადაწყვეტილებით, ,,საქართველოს კანონმდებლობაზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ დაცვის უფლების განხორციელების არაკვალიფიციურობაზე მიუთითებს, როდესაც ადვოკატი საქმიანობას არ ახორციელებს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ადვოკატთა ერთიან რეესტრში რიცხული სპეციალიზაციის შესაბამისად. ეთიკის კომისია, მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატთა ასოციაცია ადვოკატს ანიჭებს რა კვალიფიკაციას შესაბამისი სპეციალიზაციით, ამის საფუძველზე აძლევს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებას საერთო, სამოქალაქო ან სისხლის სამართლის მიმართულებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით, ადვოკატთა ასოციაცია უზრუნველყოფს ადვოკატის პროფესიული ვალდებულების - კლიენტის ინტერესთა კვალიფიციურად დაცვის - შესრულებას, რაც კლიენტისათვის შესაძლო ზიანის მიყენების რისკს ამცირებს და მინიმალურ სტანდარტს აწესებს, ასოციაციის მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის შესატყვისად კლიენტის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.

8.1.3 სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ერთიანი სიის მონაცემების თანახმად, მ. მ. არის ადვოკატი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით /სიითი N/. ადვოკატთა ასოციაციამ და კანონმა მას სისხლის სამართლის მიმართულებით მიანიჭა კვალიფიკაცია და ადვოკატი ვალდებულია კლიენტს, როგორც ადვოკატმა, მომსახურება გაუწიოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაცემულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოწმობაში მითითებული სპეციალიზაციის მიხედვით, ხოლო თუ ის მომსახურებას ახორციელებს სამოქალაქო საქმეზე, მან უნდა განუმარტოს კლიენტს, რომ მას სპეციალიზაცია მინიჭებული აქვს სისხლის სამართალში და მას, მხოლოდ როგორც წარმომადგენელს აქვს უფლება წარმოადგინოს მისი ინტერესები სამოქალაქო საქმეზე. სამოქალაქო სამართლის საქმეებზე კვალიფიკაციის არქონისას არსებობს საფრთხე, რომ კლიენტი არ იქნება სათანადოდ წარმოდგენილი, რაც კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის პროფესიული ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს. ამასთან, საქმის სააპელაციო წესით გასაჩივრების შემთხვევაში ადვოკატი ვერ შეძლებს წარმოადგინოს საჩივრის ავტორის ინტერესები სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, ვინაიდან არ აქვს მინიჭებული ლიცენზია შესაბამისი მიმართულებით, რაც წარმოშობს სხვა ადვოკატის მოძიებისათვის და მის მიერ საქმის მომზადებისათვის დამატებითი დროისა და რესურსების ხარჯვის აუცილებლობას. აღნიშნული რისკის შესახებ კლიენტი წინასწარ, იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების დადებამდე უნდა იყოს ინფორმირებული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატმა კლიენტს მომსახურება გაუწიოს იმ სპეციალიზაციის მიხედვით, რომელშიც მინიჭებული აქვს საადვოკატო საქმიანობის ლიცენზია.

8.1.4 ადვოკატმა 2016 წლის 10 აპრილს თ. ს.-სთან და ზ. მ.-სთან გააფორმა ხელშეკრულებები იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე. ხელშეკრულებაში მითითებული შეთანხმების საგნის მიხედვით, ადვოკატ მ. მ.-ს უნდა გაეწია იურიდიული მომსახურება და დაეცვა თ. ს.-სა და ზ. მ.-ს ინტერესები ყველა კანონიერი საშუალებით სასამართლოში, ასევე კერძო და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართლებრივი დავების საქმეებზე. ადვოკატ მ. მ.-ს და თ. ს.-ს, ზ. მ.-ს შორის დადებული ხელშეკრულებები არის იურიდიული მომსახურების შესახებ, თუმცა ამავე ხელშეკრულებებში

მითითებულია, რომ ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს მ. მ. ,,შემდგომში ადვოკატად წოდებული'', რაც კლიენტებს წარმოუშობს მოლოდინს ადვოკატის მომსახურების სრულად მიღების თაობაზე, მათ შორის საქმის სააპელაციო და საკასაციო წესით განხილვის დროს საადვოკატო მომსახურების მიღების შესაძლებლობის შესახებ.

8.1.5 თ. ს.-სა და ზ. მ.-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 25 აპრილის განჩინებებით (საქმეები: N2/9XXX-16, N2/10XXX–16) უარი ეთქვათ სარჩელების წარმოებაში მიღებაზე. განჩინებებში მითითებულია, რომ საჩივრის ავტორების წარმომადგენელი არის ადვოკატი მ. მ.. თ. ს.-ს საქმეზე მოპასუხეს წარმოადგენდა - ბიზნეს ბანკ გრუპ ქოს წარმომადგენლობა, დავის საგანი: გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, კომპენსაციის გადახდა. ზ. მ.-ს საქმეზე მოპასუხეს წარმოადგენდა - შპს ,,ჯითი სერვისი'', დავის საგანი: გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, კომპენსაციის გადახდა. თავის მხრივ არცერთი მათგანი სისხლისსამართლებრივ შინაარსს არ ატარებს. გამომდინარე აქედან, მოცემულ საქმეებზე მ. მ. შესაძლოა ყოფილიყო მხოლოდ წარმომადგენელი პირველი ინსტანციის სასამართლოში. კლიენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში როდესაც ადვოკატი ზოგადი ტერმინით ,,სასამართლოში მომსახურების გაწევით" შემოიფარგლება, აღნიშნული აღიქმება როგორც ყველა ინსტანციაში მომსახურება. ადვოკატ მ. მ.-ს არ გააჩნდა პრაქტიკული შესაძლებლობა შეთანხმებული მომსახურება გაეწია კლიენტებისთვის, ვინაიდან იგი არ იყო შესაბამისი სპეციალიზაციის მქონე ადვოკატი. ამ შემთხვევაში დარღვეულია კლიენტის კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად წარმომადგენლობის ვალდებულება.

8.2 სამოქალაქო საქმის მასალებითა და 2017 წლის 15 ივნისის ეთიკის კომისიის სხდომის ოქმით დასტურდება, რომ ადვოკატი მ. მ. თავდაპირველად შეთანხმებული იყო კლიენტებთან განჩინებების გასაჩივრებაზე, თუმცა მან არ გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 აპრილის განჩინებები და პირადად ვერც გაასაჩივრებდა, ვინაიდან არ ჰქონდა შესაბამისი სპეციალიზაცია. სასამართლოს მიერ სარჩელების წარმოებაში მიღებაზე მეორედ უარის თქმის შემდეგ ადვოკატმა აღარ შეიტანა ახალი სარჩელები შრომით დავებზე, კლიენტებს არ მიაწოდა ბოლო ინფორმაცია მათი საქმეების მიმდინარეობის თაობაზე, შეწყვიტა კლიენტებისათვის საადვოკატო მომსახურების გაწევა მათთვის ინფორმაციის მიწოდების გარეშე და ასევე შეწყვიტა კლიენტებთან კომუნიკაცია, ადვოკატის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „ა" ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები".

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის მიხედვით, ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა".

,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმისწარმოებასთან.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–6 პუნქტი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.“

8.2.1 ადვოკატსა და კლიენტს შორის რწმუნებულების გაფორმების ან/და დავალების ხელშეკრულების საფუძველზე ადვოკატი იღებს ვალდებულებას კლიენტის სახელით და მის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც საქმისწარმოების პროცესში იქნება აუცილებელი გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული იმ საპროცესო მოქმედებებისა, რომლებიც უშუალოდ მარწმუნებელმა უნდა განახორციელოს. ადვოკატს წარმოეშობა ვალდებულებები სათანადოდ დაიცვას და წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

8.2.2 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე №066/10 განმარტა, რომ „კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. ეთიკის კომისიამ 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე №074/10 კლიენტისათვის საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ,,ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე, რაც მოიცავს სრული ინფორმაციის დროულად მიწოდებას. კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება საშუალებას აძლევს მას, რომ ჩართული იყოს საქმის მსვლელობის პროცესში. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის რწმუნებულებით უფლებამოსილების მინიჭების მიუხედავად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეათანხმოს საქმისწარმოებისას მის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები. კლიენტს საშუალება უნდა ჰქონდეს თავადაც დაუკავშირდეს ადვოკატს და ადვოკატი არ უნდა უზღუდავდეს კლიენტს მასთან დაკავშირების შესაძლებლობას საქმის მიმდინარეობისა და შედეგების თაობაზე ინფორმაციის მისაღებად.“

8.2.3 საქმის მასალებით დგინდება, რომ ადვოკატ მ. მ.-სა და თ. ს.-ს, ზ. მ.-ს შორის 2016 წლის 10 აპრილს დაიდო იურიდიული მომსახურეობის შესახებ ხელშეკრულებები. ხელშეკრულებების თანახმად, ადვოკატმა მ. მ.-მ აიღო ვალდებულება თ. ს.-სა და ზ. მ.-ს ინტერესები წარმოედგინა სასამართლოში, ასევე ყველა სახელმწიფო უწყებასა და ორგანიზაციაში, კერძო და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართლებრივი დავების საქმეებზე. 2016 წლის 13 აპრილს თ. ს.-მ და ზ. მ.-მ რწმუნებულებით მიანიჭეს ადვოკატ მ. მ.-ს მათი წარმომადგენლობის უფლებამოსილება. თ. ს.-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 25 აპრილის (საქმე N2/9XXX-16) განჩინებით, ხოლო ზ. მ.-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 25 აპრილის (საქმე N2/10XXX-16) განჩინებით უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღების თაობაზე. თ. ს.-მ ადვოკატს ჩაურიცხა სააპელაციო საჩივრების სახელმწიფო ბაჟი (საგადახდო დავალება NX41). განჩინებები თბილისის სააპელაციო სასამართლოში

გასაჩივრებული არ ყოფილა, რაც დასტურდება ამავე სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის N2/X15 და N2/X16 წერილებით, რომელთა თანახმად 2016 წლის 20 ივლისის მდგომარეობით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ელექტრონული საძიებო სისიტემის მეშვეობით ვერ იქნა მოძიებული მიმდინარე სამოქალაქო საქმისწარმოება, სადაც ერთ შემთხვევაში მხარეს წარმოადგენს თ. ს., ხოლო მეორე შემთხვევაში ზ. მ.. მხარეთა ახსნა-განმარტებით 2017 წლის 15 ივნისის სხდომაზე დადგინდა, რომ ადვოკატმა მ. მ.-მ მეორედაც მიმართა სასამართლოს სარჩელებით, თუმცა სასამართლომ ამჯერადაც უარი თქვა სარჩელების წარმოებაში მიღებაზე. ამ შემთხვევაში ადვოკატი შეთანხმებული იყო კლიენტებთან, რომ განჩინებებს კერძო საჩივრებით გაასაჩივრებდა, თუმცა განჩინებების გაცნობის შემდეგ, გადაწყვიტა კლიენტებთან შეთანხმებით ახალი სარჩელებით მიემართა სასამართლოსთვის. ადვოკატ მ. მ.-ის განმარტებით, მას მოცემული განჩინებები აღარ ჩაუბარებია. ადვოკატმა არც მოცემული განჩინებები გაასაჩივრა და არც ახალი სარჩელები შეიტანა, თუმცა ეთიკის კომისიის სხდომაზე თ. ს.-მ და ზ. მ.-მ არაერთხელ გაუსვეს ხაზი იმ გარემოებას, რომ მათ მიზანს წარმოადგენდა შრომითი სარჩელების სასამართლოს მიერ წარმოებაში მიღება, შესაბამისად მათ სურდათ ამ შედეგის მიღწევა განჩინებების გასაჩივრების ან ახალი სარჩელების შეტანის გზით. სწორედ ამ მიზნით ჩაურიცხა თ. ს.-მ ადვოკატს მისგან მიღებული კონსულტაციის შემდეგ მისი და მისი მეუღლის კერძო საჩივრებზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის თანხა - 100 (ასი) ლარი. ადვოკატმა მოცემული თანხა მიზნობრივად არ გამოიყენა. მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ სამოქალაქო საქმეების წარმოებას ადვოკატი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში პირადად ვერ შეძლებდა, რადგან არ ფლობდა ლიცენზიას სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით.

8.2.4 ადვოკატმა შეწყვიტა კლიენტებთან ურთიერთობა და არც მათ წერილებს თუ ზარებს პასუხობდა. ამის დასტურად საჩივრის ავტორი წარმოადგენს ამონაწერს იმ კორესპონდენციებისას, რომლითაც ცდილობდა დაკავშირებოდა მ. მ.-ს, მათ შორის: თ. ს.-მ წარმოადგინა 2016 წლის 14 ივლისის საფოსტო გზავნილის ასლი, 2016 წლის 30 ივნისისა და 05 ივლისის ელექტრონული წერილის ასლი, სოციალური ქსელის 2015 წლის 25 მაისის, 29 ივნისის, 30 ივნისის, 05 ივლისის მიმოწერის ასლი, თუმცა ადვოკატის მიერ საპასუხო მოქმედება არ იკვეთება.

8.2.5 ადვოკატმა მ. მ.-მ განმარტა, რომ მას 2017 წლის ივლისის შუა რიცხვებიდან შეექმნა ჯანმრთელობის პრობლემები, რის გამოც ვეღარ შეძლო კლიენტების მომსახურების გაგრძელება, ასევე ვერ შეძლო კლიენტებთან დაკავშირება და მათთვის მათი საქმეების შესახებ ბოლო ინფორმაციის მიწოდება. ადვოკატს კლიენტებისათვის არ მიუწოდებია ინფორმაცია, რომ ვეღარ აგრძელებდა მათ წარმომადგენლობას. ადვოკატი მ. მ. აკონკრეტებს, რომ თ. ს.-ს საქმეზე მომსახურების გაგრძელება ვერ შეძლო ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ხოლო ზ. მ.-სთან მანამდე შეწყვიტა ურთიერთობა, ვინაიდან ზ. მ.-მ არ გადაუხადა ადვოკატს 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარი. ადვოკატის განმარტებით, მას ზ. მ.-სთვის არ მოუთხოვია აღნიშნული თანხის გადახდა და არც შეწყვეტის შესახებ უცნობებია, ვინაიდან კლიენტისათვის თავიდანვე გადაცემული ჰქონდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, სადაც ეწერა რომ კლიენტი ჯერ თანხას იხდიდა და შემდეგ წარმოიშვებოდა მხარეთა შორის ურთიერთობა. შესაბამისად, კლიენტისათვის სავარაუდო იყო, რომ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში ადვოკატი შეწყვეტდა მომსახურებას. 2016 წლის 05 ივლისს თ. ს.-მ და ზ. მ.-მ გააუქმეს ადვოკატ მ. მ.-ს

სახელზე გაცემული რწმუნებულებები, ვინაიდან ადვოკატს კლიენტების მხრიდან არსებული კომუნიკაციის არაერთი მცდელობის მიუხედავად, მათთან კავშირი ჰქონდა გაწყვეტილი. ეთიკის კომისია არ იზიარებს ადვოკატ მ. მ.-ს ახსნა-განმარტებებს, ვინაიდან საქმის მასალებით დგინდება, რომ ადვოკატ მ. მ.-ს ზ. მ.-სათვის 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარის გადახდა არ მოუთხოვია, ადვოკატი პარალელურად აწარმოებდა როგორც თ. ს.-ს, ისე ზ. მ.-ს წარმომადგენლობას როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეზე. ადვოკატმა ორივე კლიენტთან ერთი და იგივე დროს შეწყვიტა ურთიერთობა. ეთიკის კომისია ყურადღებას ამახვილებს ადვოკატ მ. მ.-ს განმარტების იმ ნაწილზე, როდესაც ის აღნიშნავს, რომ ივლისის შუა რიცხვებიდან ვეღარ შეძლო კლიენტებთან კომუნიკაცია. საქმის მასალებით დგინდება, რომ ადვოკატმა მ. მ.-მ ჯერ კიდევ ივნისში შეწყვიტა კლიენტების მომსახურება. ადვოკატმა იმის ნაცვლად, რომ კლიენტებისთვის ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია მიეწოდებინა და წარედგინა გაწეული მომსახურების შესახებ ანგარიშგება, საერთოდ გაწყვიტა კლიენტებთან კომუნიკაცია და კლიენტებს არც გამოჯანმრთელების შემდეგ დაუკავშირდა. ადვოკატმა მ. მ.-მ მოცემული ქცევით დაარღვია კლიენტების კვალიციფიურად მომსახურებისა და ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებები.

8.3 ეთიკის კომისიის შეფასებით, ვინაიდან დასტურდება, რომ ადვოკატ მ. მ.-ს საადვოკატო მომსახურებისთვის მიღებული 1500 (ათას ხუთასი) ლარის სანაცვლო მომსახურება თ. ს.-სთვის არ გაუწევია, დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილით გათვალისწინებული გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება:

„კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმისწარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.“

8.3.1 საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე

განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას.

8.3.2 საქმის მასალებით დგინდება, რომ ადვოკატ მ. მ.-სა და თ. ს.-ს შორის 2016 წლის 10 აპრილს დადებული იურიდიული მომსახურეობის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, ადვოკატმა მ. მ.-მ აიღო ვალდებულება თ. ს.-ს ინტერესები წარმოედგინა სასამართლოში, ასევე ყველა სახელმწიფო უწყებასა და ორგანიზაციაში, კერძო და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართლებრივი დავების საქმეებზე. 2016 წლის 13 აპრილს თ. ს.-მ რწმუნებულებით მიანიჭა ადვოკატ მ. მ.-ს მისი წარმომადგენლობის უფლებამოსილება. თ. ს.-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 25 აპრილის (საქმე N2/9XXX-16) განჩინებით უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღების თაობაზე. თ. ს.-მ ადვოკატს ჩაურიცხა სააპელაციო საჩივრების სახელმწიფო ბაჟი (საგადახდო დავალება NX41). განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებული არ ყოფილა, რაც დასტურდება ამავე სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის წერილით. ადვოკატის განმარტებით, მან მეორედ შეიტანა სარჩელი, თუმცა სასამართლომ კვლავ არ მიიღო სარჩელი წარმოებაში. ამის შემდეგ ადვოკატმა განჩინება აღარ ჩაიბარა, არ გაასაჩივრა, ახალი სარჩელები მესამედ აღარ შეიტანა. მხარეთა ახსნა-განმარტებიდან დგინდება, რომ ადვოკატმა მ. მ.-მ განახორციელა შემდეგი იურიდიული მოქმედებები: ჩაასწორა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტების მიერ შედგენილი სარჩელი შრომით დავაზე და მიმართა სასამართლოს ორჯერ, წარმოადგინა კლიენტის ინტერესები პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორთან მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებაში, შეადგინა და თბილისის მთავარ პროკურატურას მიმართა საჩივრით. კლიენტს ადვოკატთან გაუჩნდა პრეტენზია მას შემდეგ, რაც სამოქალაქო საქმეების შესახებ ადვოკატისაგან სწორი და ბოლო ინფორმაცია ვერ მიიღო და ადვოკატმა კლიენტთან კომუნიკაცია შეწყვიტა. ამის შემდეგ კლიენტი თ. ს. გავიდა იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულებიდან და გააუქმა ადვოკატის სახელზე გაცემული რწმუნებულება.

8.3.3 თ. ს.-მ ადვოკატ მ. მ.-ს მის საბანკო ანგარიშზე 2016 წლის 26 აპრილს ჩაურიცხა 1500 (ათას ხუთასი) ლარი, რაც დასტურდება სს ,,თიბისი ბანკის“ საგადახდო დავალებით N1461XXXXX, გადახდის დანიშნულება: იურიდიული მომსახურების საფასური. თ. ს.-მ ადვოკატს ასევე ჩაურიცხა 100 (ასი) ლარი სახელმწიფო ბაჟის სახით, რაც ადვოკატს მიზნობრივად არ გამოუყენებია. შესაბამისად ადვოკატმა თ. ს.-სგან მიიღო 1 600 (ათას ექვსასი) ლარი. ეთიკის კომისია ეყრდნობა მხარეთა პოზიციებსა და საქმეში არსებულ დოკუმენტებს, რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ ადვოკატ მ. მ.-ს თ. ს.-ს მიმართ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები სრულად არ შეუსრულებია და კლიენტის მომსახურება თავისი ინიციატივით შეწყვიტა. კომისიის პოზიციით, ადვოკატს უფლება აქვს ის სავარაუდო თანხა, რაც შეიძლება ექვივალენტური იყოს ადვოკატის მიერ განხორციელებული მომსახურებისა, გამოქვითოს კლიენტებისგან მიღებული საადვოკატო მომსახურების საზღაურიდან და დარჩენილი ნაწილი უნდა დაუბრუნოს კლიენტებს. ადვოკატის აღნიშნულ ვალდებულებასთან დაკავშირებით ეთიკის

კომისია მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე საქმეზე დს-შ/7-16, სადაც სადისციპლინო პალატამ უცვლელი დატოვა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისათვის დაბრუნების ნაწილში. სადისციპლინო პალატა გადაწყვეტილებაში ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ,,მოცემული დავის საგანს შეადგენს ადვოკატის მიერ კორპორაციული წესების დაცვის, სადისციპლინო ნორმის გამოყენების მართლზომიერების და არა ადვოკატისათვის გადახდილი საადვოკატო მომსახურების საფასურის, გადახდილი თანხის დაბრუნების საკითხი. ეს უკანასკნელი განეკუთვნება ადვოკატსა და კლიენტს შორის სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობას, რაც შეეხება ადვოკატის ქმედების ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსთან შესაბამისობას, აღნიშნული წარმოადგენს სადისციპლინო კოლეგიის მსჯელობის საგანს. სადისციპლინო კოლეგია ადვოკატის ქცევის სტანდარტის დაცულობის შემოწმებისას არ არის შებოჭილი მხარეებს შორის დადებული შეთანხმების ტექსტით.“

8.3.4 ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. მ.-ს როგორც მოქმედებები, ისე უმოქმედობები წარმოაჩენს მის ხედვას და უარყოფით, არაკვალიფიციურ დამოკიდებულებას პროფესიისადმი. მასში არ წარმოჩინდება კლიენტის უფლებების დაცვის ვალდებულებაზე პასუხისმგებლობის განცდა, დგინდება კლიენტებისადმი ინფორმაციის მიუწოდებლობა და კლიენტებთან კომუნიკაციის შეწყვეტა. ადვოკატთან კომუნიკაცია ეთიკის კომისიასაც გაუჭირდა. 2016 წლის აგვისტოს თვიდან მიმდინარე დისციპლინურ წარმოებაში ადვოკატი 2017 წლის ივნისის თვეში ჩაერთო. აღნიშნული ნათელს ჰფენს ადვოკატის პროფესიულ კორპორატიულ უარყოფით დამოკიდებულებას, რაც ვნებს კლიენტისა და საზოგადოებისადმი ნდობას, ეწინააღმდეგება პროფესიონალიზმს და უკავშირდება პროფესიის მიმართ თვითნებურ დამოკიდებულებასაც. ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით კერძო სარეკომენდაციო ბარათის ან გაფრთხილების გამოყენება ვერ იქნება პროპორციული და ეფექტური პროფესიაში მყოფი სხვა პირების დაცვისათვის საზოგადოებისა და კანონის წინაშე.

8.3.5 ეთიკის კომისიამ ადვოკატ მ. მ.-ს ქმედებაში აღმოაჩინა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6, მე-15 ნაწილების დარღვევის ნიშნები. საქმეში არსებულ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად ადვოკატის მიერ განხორციელებულ დისციპლინურ გადაცდომათა შეფასებით, ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატს სახდელის სახით უნდა განესაზღვროს გაფრთხილებაზე მეტი, განსაზღვრული ვადით საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.

8.3.6 ეთიკის კომისია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისას მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში და ითვალისწინებს პასუხისმგებლობის შემასუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს. კომისიამ ადვოკატ მ. მ.-სათვის საქმიანობის უფლებამოსილების შეჩერების ვადის განსაზღვრისას გაითვალისწინა დისციპლინური გადაცდომის შინაარსი, სიმძიმე და შემდეგი გარემოებები: ადვოკატმა კლიენტების მომსახურების გაგრძელება ვერ შეძლო ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, თ. ს.-ს სამართლებრივ უფლებებს ზიანი არ მისდგომია, ვინაიდან მან ახალი ადვოკატი აიყვანა და მისი შრომითი დავა სასამართლომ

წამოებაში მიიღო; ზ. მ.-ს შემთხვევაში მოპასუხე კომპანია დაიხურა, იგივე მოხდებოდა ადვოკატ მ. მ.-ს მიერ შეტანილი სარჩელის სასამართლო წარმოებაში მიღების შემთხვევაშიც საქმის განხილვის პერიოდში; მოცემულ გარემოებებზე დაყრდნობით, ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ სახდელის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპის გათვალისწინებით ადვოკატ მ. მ.-ს სახდელის სახით უნდა განესაზღვროს 6 (ექვსი) თვის ვადით საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. ადვოკატისათვის დადებული სახდელი

მიმართულია ადვოკატის პროფესიული ღირსების ამაღლებისაკენ და წარმოადგენს საზოგადოებაში ამ პროფესიისადმი ღირსეული დამოკიდებულების დამკვიდრების გარანტს, რადგან პროფესიულ ავტორიტეტს ქმნის როგორც ყველა ადვოკატის, ასევე ინდივიდუალურად რომელიმე ადვოკატის ეთიკური სტანდარტების დაცვით გაწეული მომსახურება.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით; 35-ე მუხლით; ამავე კანონის მე–5 მუხლის „ა" ქვეპუნქტით, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6, მე-15 ნაწილებით, ასევე ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-19 მუხლით, მე-20 მუხლით, 33-ე მუხლით, 34-ე მუხლით, 35-ე მუხლით, 37-ე მუხლით, 39-ე მუხლით, 40-ე მუხლის მეორე პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინური საქმეზე N072/16 ადვოკატ მ. მ.-ს /სიითი #/ მიმართ დისციპლინური სახდელის ფორმად განისაზღვროს საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 (ექვსი) თვის ვადით.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატს შეუძლია გაასაჩივრის საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. 32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კომისიის წევრი: /გია ტაბლიაშვილი/

კომისიის წევრი: /ქეთევან უტიაშვილი/

კომისიის წევრი: /ნინო მიქიაშვილი/

კომისიის წევრი: /პავლე აბაიაძე/

კომისიის წევრი:	/თეა ჭეიშვილი/
კომისიის წევრი:	/ნელი ვარდიაშვილი/
კომისიის წევრი:	/გიორგი ტურაზაშვილი/
კომისიის წევრი:	/ნათია კორკოტაძე/
კომისიის წევრი:	/ინგა სეხნიაშვილი/
კომისიის წევრი:	/თორნიკე ბაქრაძე/
კომისიის წევრი:	/ია გაბედავა/
კომისიის წევრი:	/სულხან ონიანი/